010370021900037656

1303721338602

საქმე №სსდ-01-21 **5 მარტი, 2021 წელი**

ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:

თავმჯდომარე: ზურაბ ძლიერიშვილი
მოსამართლეები: მირანდა ერემაძე (მომხსენებელი),
ალექსანდრე წულაძე

სხდომის მდივანი - მ---- დ----------ი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ლ------ ბ----------

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, წარმომადგენელი - თ----- ხ----------ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, მოქალაქე ქ------- ა-----ის საჩივრის საფუძველზე, ადვოკატ ლ------ ბ----------ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რასაც საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წელს, სამემკვიდრეო-სამართლებრივ დავაში დახმარების გაწევის მიზნით, მასა და ადვოკატ ლ------ ბ----------ს შორის გაფორმდა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს სარჩელით უნდა მიემართა სასამართლოსათვის ქ------- ა-----ის მამის

დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატი მის ინტერესებს წარმოადგენდა სამივე ინსტანციის სასამართლოში. საჩივრის ავტორის მითითებით, ხელშეკრულების ასლი ადვოკატს მისთვის არ გადაუცია. საადვოკატო მომსახურებისთვის ჰონორარის სახით განისაზღვრა 2500 ლარი, რომელიც ქ------- ა-----ემ ადვოკატს სრულად გადაუხადა და ასევე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი - 2000 ლარის ოდენობით.

საჩივრის ავტორის მითითებით, 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მას ასევე დაეკისრა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ადვოკატისათვის გაწეული ხარჯის - 2000 ლარის გადახდა. სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა ქ------- ა-----ე, თუმცა ადვოკატმა დაურეკა მას, აცნობა საქმის შედეგი და შეუთანხმდა გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

საჩივრის ავტორისთვის და ადვოკატ ლ------ ბ-----სთვის ცნობილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 2018 წლის 3 მაისს გადიოდა. ქ------- ა-----ის განმარტებით, მას სხვა პირთა მხრიდან ეცნობა, რომ გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, სასამართლოსთვის წერილობითი განცხადებით უნდა მიემართა, თუმცა ადვოკატმა ლ------ ბ-----მ აუხსნა მას, რომ ეს არ იყო სავალდებულო მოთხოვნა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ლ------ ბ-----მ გაუშვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და იგი შევიდა კანონიერ ძალაში. ლ------ ბ-----მ მიმართა ზემდგომ ინსტანციებს ვადის აღდგენის მოთხოვნით, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებით აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი აანაზღაურებდა კლიენტის მიერ სასამართლოში გადახდილი ბაჟისა და მომსახურების თანხებს - 2000 ლარის ოდენობით, რაც საჩივრის ავტორისთვის მნიშვნელოვანი იყო დავის ხელახლა დაწყების მიზნით, თუმცა ადვოკატს თანხა არ დაუბრუნებია.

ადვოკატმა ლ------ ბ-----მ 2019 წლის 12 დეკემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლითაც უარყო თავისი ბრალეულობა და აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლა გამოწვეული იყო სასამართლოს ბრალეულობით, კერძოდ, გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობის მიზეზით.

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილებით, ადვოკატი ლ------ ბ----- ცნობილ იქნა ბრალეულად „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ა ქვეპუნქტითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული ნორმების დარღვევაში, რისთვისაც მას „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის

თანახმად, დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - **გაფრთხილება** შემდეგ გარემოებათა გამო:

ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2017 წელს მხარეები შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებაზე, კერძოდ, ქ------- ა-----ის ინტერესების დაცვის მიზნით, ადვოკატი ლ------ ბ-------- სარჩელით მიმართავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ამ უკანასკნელის მამის დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ქ------- ა-----ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდნენ არც მოსარჩელე და არც მისი წარმომადგენელი, თუმცა გადაწყვეტილების შედეგი მათთვის ცნობილი იყო, ვინაიდან სხდომას ესწრებოდნენ ქ------- ა-----ის მამიდა და ადვოკატ ლ------ ბ-------ს სტაჟიორები. ამდენად, საჩივრის ავტორისა და ადვოკატისათვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის თარიღი - 2018 წლის 3 მაისი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში ატვირთული იყო კანონით დადგენილ ვადაში - 2018 წლის 17 აპრილს, ხოლო ქ------- ა-----ის მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა აღნიშნული გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2018 წლის 30 აპრილს.

ადვოკატმა ლ------ ბ--------მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვტილება ჩაიბარა იმავე წლის 8 მაისს. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა კი დაიწყო 2018 წლის 20 აპრილიდან და ამოიწურა 2018 წლის 3 მაისს. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2018 წლის 17 მაისს, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატმა ლ------ ბ--------მ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და ქვემდგომი სასამართლოსთვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით კერძო საჩივარი წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თუმცა კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება.

ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატსა და კლიენტს შორის მომსახურების ფარგლებზე შეთანხმება, ვინაიდან, აღნიშნულ საკითხზე არსებობს მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებები. საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება, რომელზეც მხარეები მიუთითებენ, თუმცა, სადავო გარემოების მიუხედავად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ადვოკატმა იკისრა ვალდებულება თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა ზემდგომ ინსტანციაში. შესაბამისად, იმ პირობებში, თუ მხარეები სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებაზე არ იყვნენ შეთანხმებული ურთიერთობის დაწყების პროცესში, შემდგომი მოქმედებებით - სააპელაციო და კერძო საჩივრის წარდგენით, ადვოკატმა თანხმობა გამოხატა ქ-------

ა-----ის ინტერესების ზემდგომ ინსტანციებში დაცვაზე.

ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ ადვოკატმა ლ------ ბ-----------მ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილი ვადის გაცდენით დაარღვია: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, „ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“; ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“.

ეთიკის კომისიამ მიუთითა დადგენილ პრაქტიკაზე, სადაც განიმარტა, რომ საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის, მოამზადოს საქმე სასამართლოში განსახილველად, მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებები, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის.

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ლ------ ბ-----------მ კლიენტის წინაშე თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვალდებულება აიღო. ადვოკატი ვალდებული იყო განესაზღვრა გასაჩივრების ვადა და ემოქმედა ისე, რომ ეს ვადა არ გასულიყო. გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის მიზეზად სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების დაგვიანებით მომზადებას უპირისპირდება თბილისის სააპელაციო სასამარლოს 2018 წლის 31 მაისისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებებში მითითებული მოტივაცია, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება სასამართლო წარმოების ელექტრონულ სისტემაში აიტვირთა 2018 წლის 17 აპრილს, რისი გაცნობის შესაძლებლობაც მხარეებს 24 საათის გასვლის შემდეგ ჰქონდათ. ამასთან, გადაწყვეტილების საპროცესო ვადაში მომზადების ფაქტს ადასტურებს მოცემულ სამოქალაქო საქმეში ქ------- ა-----ის მოპასუხე მხარის ხელწერილი, რომლის მიხედვით, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2018 წლის 30 აპრილს.

ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ ადვოკატმა ლ------ ბ-----------მ ქ------- ა-----ის ინტერესების დაცვის პროცესში არ გაითვალისწინა საპროცესო სამართლებრივი მოთხოვნები - გადაწყვეტილების ჩაბარებისა და გასაჩივრებისთვის დადგენილი აუცილებელი ფორმალური მოვალეობები, რომელთა დაუცველობით კლიენტს მიადგა ზიანი - წაერთვა ზემდგომ ინსტანციებში საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება.

მითითებული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს

სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილი ვადის დაცვით გაასაჩივრა ადვოკატმა ლ------ ბ----------მ, რომელმაც მოითხოვა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილების გაუქმება, შემდეგი საფუძვლით:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ მომჩივნის მოსაზრებებს. ადვოკატის მითითებით, 2018 წლის 20 მარტის სხდომას არ ესწრებოდა არც თვითონ და არც მისი კლიენტი. შესაბამისად, მისთვის უცნობი იყო გადაწყვეტილების როგორც სარეზოლუციო, ასევე, სამოტივაციო ნაწილი. გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მან არაერთხელ დარეკა მოსამართლის თანაშემწესთან, რომელიც განუმარტავდა, რომ გადაწყვეტილება ჯერ მზად არ იყო. საბოლოოდ, ადვოკატისათვის გადაწყვეტილების შინაარსი ცნობილი გახდა მხოლოდ 2018 წლის 8 მაისს, სადაც მითითებულ იქნა, რომ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გადიოდა 2018 წლის 3 მაისს.

ადვოკატმა, გაცდენილი ვადის აღდგენის მიზნით, მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და განმარტა, რომ გასაჩივრების ვადის გასვლა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა. თუმცა აღნიშნული კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ადვოკატი ასევე მიუთითებს, რომ ის რეგულარულად ითხოვდა ინფორმაციას გადაწყვეტილების მომზადების შესახებ, რასაც ადასტურებს მისი მობილური ტელეფონიდან განხორციელებული სატელეფონო ზარები. შესაბამისად, სატელეფონო საუბრებიდან მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ადვოკატი ელოდა გადაწყვეტილების მომზადებას, რომ შემდეგ შესაბამისად ემოქმედა.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე მითითებით, საჩივრის ავტორმა სახდელის დაკისრების თაობაზე ადვოკატთა ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა სადისციპლინო პალატის სხდომაზე დაუსაბუთებლობისა და უსაფუძვლობის გამო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადვოკატ ლ------ ბ----------ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად დადგენილია, რომ სადისციპლინო პალატა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის გათვალისწინებით.

ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება. ამავე კანონის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ 2017 წელს მხარეები შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, კერძოდ, ადვოკატ ლ------ ბ----------ს ქ------- ა-----ის ინტერესების დაცვის მიზნით, სარჩელით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის ამ უკანასკნელის მამის დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ქ------- ა-----ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდნენ არც მოსარჩელე და არც მისი წარმომადგენელი, თუმცა გადაწყვეტილების შედეგი მათთვის ცნობილი იყო, ვინაიდან სხდომას ესწრებოდნენ ქ------- ა-----ის მამიდა და ადვოკატ ლ------ ბ----------ს სტაჟიორები. ამდენად, საჩივრის ავტორისა და ადვოკატისათვის ცნობილი იყო გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადის გასვლის თარიღი - 2018 წლის 3 მაისი.

გადაწყვეტილების გამოცხადებიდან, დაახლოებით, 2 კვირის შემდეგ, ადვოკატსა და კლიენტს შორის შედგა სატელეფონო საუბარი, საიდანაც ირკვევა, რომ საჩივრის ავტორს სურდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრება ფორმალურად, რადგან ბაჟის თანხა არ ჰქონდა, ხოლო, ადვოკატი კლიენტს დაჰპირდა ზემდგომ ინსტანციაში სააპელაციო საჩივრის წარდგენას.

ასევე დადასტურებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ელექტრონული საქმის წარმოების პროგრამაში ატვირთული იყო კანონით დადგენილ ვადაში - 2018 წლის 17 აპრილს, რასაც ადასტურებს ქ------- ა-----ის მოპასუხე მხარის წარმომადგენლის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების ასლის 2018 წლის 30 აპრილს ჩაბარების ფაქტი. ადვოკატმა ლ------ ბ----------მ კი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვტილება ჩაიბარა იმავე წლის 8 მაისს. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 20 აპრილიდან და ამოიწურა 2018 წლის 3 მაისს. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ადვოკატმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2018 წლის 17 მაისს, თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით საპროცესო ვადის დარღვევით წარდგენილი საჩივარი დარჩა

განუხილველი. ადვოკატმა ლ------ ბ----------მ სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმებისა და ქვემდგომი სასამართლოსთვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით კერძო საჩივარი წარადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, თუმცა, კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება.

სადისციპლინო პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და პირველ რიგში აღნიშნავს, რომ **საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატსა და კლიენტს შორის საადვოკატო მომსახურების ფარგლებზე შეთანხმება,** ვინაიდან ქ------- ა-----ის განმარტებით, ადვოკატს მისი ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, ხოლო ადვოკატის განმარტებით, მათ შორის დადებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის ვალდებულებას. ადვოკატმა ლ------ ბ----------მ აღნიშნულზე სადისციპლინო პალატის სხდომაზეც მიუთითა და აღნიშნა, რომ ხელშეკრულება, რომელიც, სავარაუდოდ, საადვოკატო ბიუროდან ნივთების გადატანისას დაკარგა, სააპელაციო საჩივრის წარდგენის დროს უკვე ვადაგასული იყო, რაც, მისი აზრით, იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ადვოკატს მხოლოდ პირველ ინსტანციაში ჰქონდა წარმომადგენლობის ვალდებულება.

სადისციპლინო პალატა ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს ეთიკის კომისიის მოსაზრებას, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება, რომელზეც ადვოკატი მიუთითებს, ხოლო მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებითა და მტკიცებულებათა არარასებობის პირობებში, ერთი მხრივ, არ ირკვევა მხარეთა შორის კონკრეტულ მომსახურების ფარგლებზე შეთანხმება, თუმცა, მეორე მხრივ, წარმოდგენილი საქმის მასალების საფუძველზე დგინდება, რომ ადვოკატმა იკისრა ვალდებულება გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება და ზემდგომ ინსტანციაში წარადგინა სააპელაციო საჩივარი. ამდენად, ადვოკატის შემდგომი აქტიური მოქმედებები - სააპელაციო საჩივრისა და შემდეგ კერძო საჩივრის წარდგენა, ადასტურებს ადვოკატის მხრიდან ქ------- ა-----ის ინტერესების დაცვის განხორციელებაზე თანხმობას ზემდგომ ინსტანციებში. აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულება ადვოკატს არ წარმოუდგენია არც ეთიკის კომისიასა და არც სადისციპლინო პალატაში.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ლ------ ბ----------ს საჩივრის ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ასევე ის გარემოება, რომ მისთვის უცნობი იყო გადაწყვეტილების როგორც სარეზოლუციო, ასევე სამოტივაციო ნაწილი, შესაბამისად, საქმის განხილვის შედეგიც. ადვოკატის განმარტებით, მისთვის წარმოუდგენელია გადაწყვეტილების გასაჩივრება მის ჩაბარებამდე, რადგან, თუ მხარე არ გაეცნო გადაწყვეტილების შინაარსსა და დასაბუთებას, არ გაიგო საქმის შედეგი, ვერანაიარდ ვერ გაასაჩივრებს მას. ამასთანავე, სასამართლო აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებში არ იძებნება განცხადება, რომლითაც

დადასტურდებოდა, კანონით დადგენილ ვადაში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-დან 30 დღემდე, გადაწყვეტილების გადაცემის მოთხოვნა.

სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ საქმეზე წარმოდგენილია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომლითაც ქ------- ა-----ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინებით განიმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას, მართალია, არ ესწრებოდა მოსარჩელე, თუმცა, მისთვის ცნობილი იყო აღნიშნული სასამართლო სხდომის თარიღის თაობაზე. 2018 წლის 20 თებერვლის მთავარ სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდა მოსარჩელის წარმომადგენელი, მოსამართლემ სხდომის დასასრულს მხარეებს აცნობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების თარიღი - 2018 წლის 20 მარტი, 16:00 სთ., თუმცა მოსარჩელეს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არაუადრეს მე-20 და არაუგვიანეს 30-ე დღისა გადაწყვეტილების ასლის ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოსთვის არ მიუმართავს, შესაბამისად საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო პალატის მოსაზრება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მხარისთვის გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყო 2018 წლის 20 აპრილიდან და 2018 წლის 3 მაისს ამოიწურა. საქმის მასალებით ირკვევა, რომ მოსარჩელემ სააპელაციო საჩივარი კანონით დადგენილი ვადის დარღვევით, 2018 წლის 17 მაისს წარადგინა, ამდენად, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო საჩივარი სსსკ 374-ე მუხლის საფუძველზე მართებულად დარჩა განუხილველად.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მსჯელობას დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მის მიერ მიღების შეუძლებლობის თაობაზე, საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსსკ 102-ე მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეული მხარე ვალდებულია დაამტკიცოს მის მიერ მითითებული გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. განსახილველ შემთხვევაში, კერძო საჩივრის ავტორს მის მიერ მითითებული გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია და მხოლოდ სიტყვიერი განმარტებით

შემოიფარგლა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის სასამართლოს ბრალით მიღების შეუძლებლობის ფაქტი შეიძლება დადასტურდეს სასამართლოს კანცელარიაში უფლებამოსილი პირის მიერ ჩაბარებული განცხადებით და სასამართლო მოხელის მიერ იმ გარემოების დადასტურებით, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლი მზად არ არის. ამასთან საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის წარმომადგენელს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩაბარდა 2018 წლის 30 აპრილს, რაც იმას ადასტურებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მითითებულ დროს მზად ჰქონდა. ამდენად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტმა თავისი არგუმენტის სარწმუნოდ დასაბუთება ვერ შეძლო და ამისათვის მხოლოდ განმარტება საკმარისი არ არის ***(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება, საქმე #ას-959-2018; ს.ფ. 27-33).***

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ ადვოკატ ლ------ ბ----------ს, როგორც ქ------- ა-----ის წარმოამდგენელს ჰქონდა გადაწყვეტილების ჩაბარების შესაძლებლობა, ვინაიდან, გადაწყვეტილება საპროცესო ვადის დაცვით იქნა მომზადებული. ამასთან, ადვოკატს შესაძლებლობა ჰქონდა წარედგინა სააპელაციო საჩივარი თუნდაც ფორმალური სახით, რომლის დაზუსტებისა და დასაბუთების შესაძლებლობა მას სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ხარვეზის განჩინების საფუძველზე მიეცემოდა.

საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. საპროცესო კანონმდებლობა უფლებებთან ერთად მხარეებს მოვალეობებსაც აკისრებს, მათი შეუსრულებლობა კი იწვევს მხარისათვის არასასურველ სამართლებრივ შედეგს ***(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: #ას-1033-2018; #ას-1025-986-2016; #ას-851-817-2016).***

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა არ ეთანხმება საჩივრის ავტორის მოსაზრებას და გადაწყვეტილების გაუქმების მის მიერ მითითებულ საფუძვლებს და მიაჩნია, რომ ადვოკატ ლ------ ბ-----------ს მიერ დარღვეულია როგორც „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც „ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“; ასევე, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“. პალატა განმარტავს, რომ ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად და წარმომადგენლობა განახორციელოს კანონმდებლობის შესაბამისად. კლიენტის ინტერესების დაცვა არ ნიშნავს მხოლოდ ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე,

ადვოკატი ვალდებულია მის დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონითა და პროფესიული ეთიკის კოდექსით. ადვოკატის არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მოქმედებები იწვევს ადვოკატის მიმართ დადგენილი ეთიკური მოთხოვნების დარღვევას, რაც თავის მხრივ, ტოვებს კლიენტს დაუცველს და ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის პროფესიის სანდოობას.

სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ წარმომადგენლობითი ფუნქციის არასათანადო შესრულების გამო, მოქალაქე ქ------- ა-------ემ ვერ მოახდინა გასაჩივრების უფლების გამოყენება. ამდენად, სასამართლოს უფლება, რომელიც სხვა უფლებების დაცვის ერთგვარი გარანტია, განაპირობებს დარღვევის მნიშვნელობას.

სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - **გაფრთხილების** შეფარდებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ყოველმხრივ, ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ადვოკატ ლ------ ბ----------ს მიერ დარღვეულია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა“ და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია და მას კანონიერი და სამართლიანი სახდელი დაეკისრა.

ამდენად, სადისციპლინო პალატა თვლის, რომ არ არსებობს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, საჩივრის ავტორის - ადვოკატ ლ------ ბ----------ს საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{63}-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75^{63} მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ლ------ ბ----------ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2020 წლის 5 ოქტომბრის №143/19 გადაწყვეტილება;
3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე	/ზურაბ ძლიერიშვილი/
მოსამართლეები:	/მირანდა ერემაძე/
	/ალექსანდრე წულაძე/